

1
1967

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი




№ 4 (1254) თბილისი, თებერვალი 1967

საქმე

ბავშვების 44-ი წელი

შანი 20 კაპ.

— მზე და ღამე რომ ბაზარში ურჩხართ და თვალს ყი-
დით, კოლმეურნეობაში როდისღა მუშაობთ?!
— თაფლოვის თვე გვაქვს, შენაცვალე!



თანამედროვე ჰეროსტრატეს

საბჭოთაო

ნ.ბ. ზ. ნიჟარაძის



— იყიდეთ კალენდარი!...
— კალენდარი მე რად მინდა, ახერ მზეს მიჰყიდე, — იქნებ ზამთარი და ზაფხული გაარჩიოს ერთმანეთისაგან.

შენ გეტყვით, იცოდა თუ არა აპაკი მინისტრის ძე ნუსუბიძემ, ქუთაისში ცხოვრობდა, რომელიც არქივის სოციალისტური ფონდების განყოფილების ყოფილმა გამგემ მერძენი ბერის — ჰეროსტრატეს ამბავი, არტემიდა ეთესელის სწორუპოვარი ტაძარი რომ გადაბეგა და ისტორიაში ამ გზით დაიმკვიდრა სახელი, მაგრამ ერთი კი ცხადია: აპაკიმ არათუ დაწვა და არარაობად აქცია არქივი, არამედ პირიქით, — არქივში სულაც არარსებულისაგან არსებული „აღმოჩინა“ და, ისტორიაში თუ არა, მმირი ბალუაშვილის გულში მაინც დაიმკვიდრა დაუვიწყარი სახელი.

მუშაობის სტაჟისთვის ისეთ ცნობას ამოვიშალა არქივიდან, რომ, თუ გინდა, ხვალვე პერსონალურ პენსიაზე გახვალ, — დაიმედა ნუსუბიძემ ბალუაშვილი და, მეორე დღესვე, დილაადრიან, მივიდა სამსახურში... არქივსაცავში ჩაჯდა და ქექვას მოჰყვა. ქექვა, ვეება უძებარი და მერე უეცრად „იპოვნა“: სუფთა ჯალღი მუშაობის ყალბ ცნობად აქცია და მისივე განყოფილების ფონდების მცველი, ეთერ კახიანი იხმო:

— ნამდვილად მებრალბები, ეთერ!.. ქვეყნის განცხადებები შემიღის, ყველას პასუხის გაცემა სჭირდება. ცოლო ხარ, ცოლო! — მიელაქუცა აპაკი და ფარისევლური სიმბრალულით შეავლო თვალი.

— ვითომ? — თქვა ეთერმა და, ცოტა არ იყოს, აღმაცერად ახედა აპაკის. — სინდისს ვფიცავარ, მართლა მცხოვრები! საქმითაც დაგმტკიცებ: აი, მაგალითად, ვფიქრე, განცხადებებზე პასუხის გაცემაში შევეშველები-მეთქი და ერთი პასუხი გაგიშვადე... და, ბალუაშვილის განცხადებასთან ერთად, მის მიერვე „გამზადებული“ ცნობაც შეაჩერა, — პასუხს ახლავე გადაბეგვად, ხელს მოაწერ და მორჩა!

პოი, უნდობლობავ! ეთერ კახიანი არც ისე მიაბიტი აღმოჩნდა — ნუსუბიძის მიერ ბალუაშვილის სახელზე გამზადებული პასუხი დოკუმენტებს შეადარა და, უარდაცმული, დირექტორთან შეგარდა...

ამ ამბის ფინალი საკმაოდ პროზაულია: დადგინდა, რომ ნუსუბიძემ ბალუაშვილის სამი წლის მუშაობის სტაჟი რეცეპტივით გამოუწერა, მაგრამ, მოგვხსენებათ, ავადმყოფს რეცეპტი კი არა, წამალი შეეღის. წამალი კი (ხელმოწერილი და ბეჭდიანი ცნობა) ამ ყალბ რეცეპტზე ეთერ კახიანმა არ გასცა.

გაიძვერა ნუსუბიძემ დაისაჯა: იგი სამუშაოდან მოხსნეს. აპაკი ნუსუბიძემ ჰეროსტრატეს ერთში მაინც დაემგავა — მან საკუთარ „მე“-ში დაფერფლა ღირსებისა და ადამიანობის ხელთუქმნელი ტაძარი — სიმბრალე.

თანამედროველი.

სკოლა — მოძრაობი...

მიუხედავად იმისა, რომ დღე შეეღის თვის რაიონის სოფელი ეინვალი საქართველოს სამხედრო გზაზე მდებარეობს, იგი თითქმის ყოველმხრივ ჩამორჩენილია: აქ არ არსებობს სკოლის, კლუბის, ბიბლიოთეკის შენობები, ხოლო სასოფლო საბჭო, ფოსტა და აფთიაქი, სამადლოდ, საგზაოს შენობებშია მოთავსებული. ასევე, კერძო ბინაშია მოთავსებული პურის საცხობი და სხვა. დაწყებით სკოლას კი საკუთარი ბინა არ გააჩნია და ხან ვის სახლში ამეცადინებენ ორ წყებად მოსწავლეებს და ხან — ვის სახლში.

დაგვიხატო და ვერ გპოულობთ, ნეტავ, სადა ხარ? გუშინ სოფლის ცენტრში იყავ, დღეს კი ხსვავან ხარ. ერთხელ ფენი აიღვი და ასე დადინარ, ჩვენი სიხარული ხარ თუ ჩვენი დარდი ხარ?! ძლიერ გვიკვირს, შენ მისამართს იცვლი რა ხშირად!.. რატომ გვტანჯავ? რად გავგზადებედის მაჩვირად?! ვიცქვრით და გული ბოღმით, ჭავრით ივსება, ერთგან იღვე, სკოლა გერქვას თუ გვეღირსება?! დაგვიხატო და ვერ გპოულობთ, ნეტავ, სადა ხარ? თქვი, როდემდის ვიწანწალოთ ასე, კარდაკარ?! ამას ამბობდნენ ბავშვები — სოფელ ეინვალის ბავშვები... ამ საქმის მესვეურებო, მათ ვალში დიდხანს დარჩებიო?!

იოსებ ანანუშილი

გაყვარება

- ისეთი ბნელი ღამე იყო, თითო ვერავის ჰკრავდი თვალში.
- სულ უფრო მეტ უსინდისობას ჩაღიდა, რადგან უსინდისობის საზღვარს ეძებდა.
- მის ჰკვიანურ გამომეტყველებას ყველა შეცდომაში შეჰყავდა.
- ზვარი ყველა კაი არი, თუ კაცია გვარიანი.
- მის ცეცხლოვან ენთუზიაზმზე პაპიროსის მოკიდება შეიძლებოდა.
- მრბაბლი წლის ცდების შემდეგ მიაღწია: გამოიგონა ნივთიერება, რომელიც ბაქტერიებს სპობს. კიდეც მეთიცი — ეს ნივთიერება სპობს ბაქტერიებსაც და ბაქტერიოლოგებსაც.
- ახალგაზრდა ცოლ-ქმარს სარე არ ჰქონდა და დილაობით ერთმანეთის თვალეზში ივარცხნიდნენ თმებს.
- მოჭადრაკეების სანუგეშოდ: რა ვუყოთ მერე ყველა ხომ ვერ გახდება ოსტატი, ზოგიერთი დილოსტატი ხდება!

მოთმინების ვილა

წმირი დაწერა უნდოდა. ჯერ ქალაქის ძებნას გადაყვა, მერე კალამი ვერ ნანა კარგა ხანს, მერე კონვერტი მიიკითხ-მოიკითხა, ბოლოს მარკაზე რომ მიდგა საქმე და ისიც საძებნელი დაურჩა, — დახია ქალაქი და გადაყარა.

სამინისგროში ნაშუაგვარი პარიკმახარის მუშაკებიდან

— მპ, ვინ იცის, რამდენი მინისტრისთვის ჩამივლია ხელი — მოვიდებდი ყელში ხელს და ხან უკან გადავტანებდი თავს, ხან მივაბრუნ-მოვაბრუნებებდი... წვერის პარსვისა და ულავის შესწორების დროს.

მისი მოწოდება

თავიდანვე ბობოქარი სულის პატრონი გახლდათ; ვერ იტანდა ერთფეროვნებას, ყოველდღიურად ერთსა და იგივეს ბუზღუნებდა: — რაა ეს?!.. ყოველ საღამოს გაიხადე, დაწევი, დაიძინე, ყოველ დილას გაიღვიძე, ადგევი, ჩაიცვი... ვითომ, რატომ არ შეიძლება პირიქით: საღამოს ჩაიცვა და დილას გაიხადო, ღამე გეღვიძოს, დღისით გეძინოს?..

...და იგი ღამის დარაჯად მოეწყო.

თანამედროველი

ქ რ თ - ჭ ე რ ქ ვ ე ე უ

დღეს, დილით, სააბაზანოდან რომ გამოვედი, სრულად შემთხვევით მაჩაჩემს გადავეყარე.

— მიშეიკო, — ვაინხარა მამამ, — გამარჯობა, შეილო!
— მამიკო, ძვირფასო, გამიმარჯოს!

ერთმანეთი გადავკოცნეთ. მამა რა ხანია არ მენახა. მგონი, ერთი წელიც იქნება. შეიძლება, მეტიც იყოს. რაღაც არ გამოგდის. ძალზე დაკავებული ხალხი ვართ. მე ინჟინერი ვარ, ის მსახიობია. მამაჩემი ხან რეპეტიციასეუა, ხან — კონცერტზე, ხან საშუალო სპექტაკლში თამაშობს. არც მე ვარ მოკლილი: თათბირებს, კრებებს, ტექნიკურ სემინარებს ვერ აუვადი. თან კედლის გაზეთიც მე მამბარია და კულტმასობრივი ლაშქრობაც მე უნდა მოვაწყუო.

— აბა, რა არის ახალი? — მკითხა მამამ. — როგორ სწავლობ, როგორ მიდის საქმე ინსტიტუტში?

— გმადლობთ, კარგად, — მივუგე მე, — ინსტიტუტი ამ ზაფხულს დავამთავრე.

— რას მეუბნები?! — გაუკვირდა მამაჩემს. — ყო-

ჩაღ, ბიჭო, მომილოცავს! უცებ ოთახის კარი გაიღო და დერეფანში ბავშვი გამოვიდა.

— ვისია ეს გოგო?! — მკითხა მამამ.

— ეს? ეს ჩემი გოგოა!

— რაო, ცოლიც მოიყვანე?

— კი, ინსტიტუტშივე.

— შეილოც ამას ჰქვია. ცოლი მაინც ვაგეცნო, ბიჭო, ჩემთვის!

— საიდან უნდა ვამეცნო, სახლში ვერ ნახავს კაცი. ექიმია. დღისით უბანში დარბის, საღამოს კი მედღეობის წრეს ხელმძღვანელობს.

— დღეს ხომ კვირაა? დღესაც მუშაობს?

— დღეს არა, კვირაობით კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე დადის.

— საწყენია, — ამოიხრა მამამ, — მენახა მაინც. ისე, როგორი გოგოა?

— რა ვითხრა: შუატანის... არა, უფრო მაღალი. ლურჯი თვალები აქვს... არა, მგონი ჭროლა. თმები... რა ფერის თმები აქვს? დამავიწყდა...

— ქმარიც ასეთი უნდა.

— შენ რა გიჭირს. ჯვრის-

წერის მერე სულ სამჯერ თუ მყავს ნანახი.

— გამოდის, რომ საკუთარი ცოლის სახეც დაგავიწყდა?

— დამავიწყდა რას ჰქვია! სურათი აგერ არა მაქვს? დაგხედავ და გამახსენდება.

— მაჩვენე ერთი! ო! ამ გოგოს ხომ ვიცნობ. ორი კვირის უკან დერეფანში იატაკს რეცხავდა. დამლაგებელი მეგონა. ფული შევამღიე და ეწყინა.

— დედას ვერ ჰკითხე?

— დედაშენმა თვითონ თუ იცის, ცოლი რომ გყავს?

— მგონია კი, — დავეჭვდი მე. — წერილი დავუტოვე.

— წერილი? ისე ვერ უთხარი?

— როგორ ვეტყვოდი? ის ხან მალაზიშია, ხან — სამრეცხაოში, ხან წითელ კუთხეში მორიგეობს.

— მომენატრა დედაშენი, მითხრა ნაღვლიანად მამამ. — ბოლო დროს როდის ნახე?

— როდის? ასე, ერთი თვის უკან.

— ხომ არ დაბერებულა?

— მართალი ვითხრა, ვერ შევამჩნიე. მე ლიფტით

ამოვიდოდი, ის კი, ჩანთებით ხელში, ქვევით ჩარბოდა.

— მამა! — ატირდა ბავშვი, — ფისი-ფისი მიწდა.

გადავაყენე.

— მოიცა, — მითხრა მამაჩემმა, — ეს გოგო კი არა, ბიჭი ყოფილა!

— მე რა ვიცი. მთელი დღეები საბავშვო ბაღშია. სახლში მხოლოდ კვირაობით თუ მოგვყავს.

საათმა ათჯერ დარეკა.

მამაჩემი შეკრთა.

— ათი საათია?! რეპეტიციასე მავიანდება.


— ათია? დღეს ხომ მეცადინეობა მაქვს!

— აბა, კარგად იყავი, — მითხრა მამამ.

— კარგად, — ვუთხარი მე. — ცოლი თუ ნახო, მოკითხვა გადაეცი.

— შენ დედა მომიკითხე. ...და იცავქანდით სხვადასხვა მხარეს. მაინც კარგია, საკუთარ მამას რომ შეხვდები. თუმცა ერთი ფიქრი მოსვენებას არ მაძლევს: მამა იყო ის ჩემი თუ არა? იქნებ, სულაც ბიძაჩემს ფელაპარაკებოდი?!

თარგმნა
ზურაბ ჩხენკელმა



— ამ ფანტის პატრონმა რა კმენას?!
— მამის პატრონმა ხვალ გამოვიაროს, — თბილ კაღვილზე გავუხუგე.

ნახ. ჯ. ლოლუასი

საქართველო

გ. ა. შიდაციხელაშვილი



— მივსის აქვთო?
— არა!
— რაზე არა ვაპრობთ?

შესარდეს, როგორც იყო, გვაძა წინა კვარტლის სამჭროებს ახლაც მოსდევს იმ დადების კანკალი ახალ ვაჭარებს ისე მოყვასი ყაჩაღი დავადაზნა. ვერ გაივამ, იხურება თუ იღება დარბაზი, დარბაზიდან ვეღარ იციანთ, ხან მოხსნილი გვერისი ხან იფრტობთ, დარბაზი, შვედილი თუ შვილია. აღარ ამის, დარბაზი წითელი შალღისა, დარბაზი დარბაზიდან ვეღარაა შესვენების საათი.
— აქ არვიან ვაჭარებებს, გვაძვს თუ არ ვსარდლებთ, რომ ვაჭარო, უნან უბნეს პენსიონა გავსდებამ.
არ დატოვებ, მოივანებს ავადმყოფი შიშობი, თანამშრომლის სტუდენტის კი საჭურჭელი მოვლავს. უკრი ამის ჩამორჩენის, ავადდების ვაჭვს ზანხარი, იფლი თუ შიშობია, შრომა თუ ხანძარი? იმე ვრავანებს დარბაზობრი, ცის ვარსკლავი კრიბანან, ფაქე მუბან ფაქე სინანო, აისს ფაქე ხევევანს, როგორც იყო, ჩამორჩენი შრომის ტექნო ვრავანებ, რა ვარება ახლ მალი, კრიბები და მოქანარები?

ზოგიერთმა იწინა დროს თქვენი თავი იცანით, მაშ, შიშობილ თქვენ ვაჭარო და იმისი შიშობია?

მანხანან მონგანანალი

— ილია, როგორც N მისთვის, N კვარტლის N სახლის მფლობელი დიდდიდობით იფენ, სადაცაც უნდა იყავს მანდილი მანდის ვიქლი.

— ავანტიურე სახლის კრიბების თავგანთირე იყო და ასეთივეფლობის ვრინბის მარულე განვირთვობულე კვანდა, სასწრაფო წამოვდა, პიემა ვაჭარედა და ებნის ჩავიდა.

— ებნის, ნახვარედავმწამრი, დავჯავდო სახლების ჭეშუა ამეიდ დაავჯარედა ამოვინ, წითელი, იფაღებრბრაღა მანდილი. აღვანანდრე ვარ მანდილი შევინა, მერე ლოვინა ვიგომინავრე მფობლობი და მანდილია შევინა.

— ვინა, ვინა, ეს რომ აღარ ვეცინება? — მანდილი იღობდა ვანჯარები, მიმანდა ნანძანარედა, აღმფობიბული სახები, მხოლოდ პირველ სარბულე მფობლობი არჩევი მწავლის ლოვინა იყო მინე ვარევილი დასუფობი.

— **უბრათ**, თო! — განხანდა ვაჭარო ლავჯავდა, მადარების პოლიტიკინა. ვაჭარბის ვანჯარბის მიღვევა ვაჭარებო და თავისი ლოვინა პირდაპირ დასოფილ მანდილს ჩეჭევა.

— ქალბის და სოფლის დასოფობის შედეგია... — დარბი შევამე სარბოლის ლოვინან ნესტარედა, — თქვენ ვაჭარებო, რის შედეგედა მადი! — განწყობრბა ლავჯავდა.

— მანდის რა ვყოფი!

საქართველო

როგორცაც ვეღარ მოივანებ იწინა ვინა, მოღვენილბის მერ კრიბით დავიწე, ყვე კრიბის ფაქედი ხალხი დავიწეო და ისეთი მანდილი იყო, დავიწეო ვეფხეის იბრალეს ვერ ვაივინდა ვაყი. ზარი ნახვარედავმწამრი აქეთა თავგანლობამე, ხალხი მანდილი არ დავიწეა. დავიწეობის ისე ვაწევადა, დავიწეო უფროსი გამოვიტეხე სასწრაფო და უფრომან თოვი ვაგრობო.

— არ შეშობია, ბატონო! ტუვიტები დადილოდ შევსე ხანავიბული.

— ამა რა ვქვამთ! — ვინცეს ვინცე და ვესვრი, მაშინ მიზეზი შევქვამ.

— ამანდავბი... — დიას ვაჭარბი!

— მფობიბობის იმდენად სერიოზულია, რომ არ ვიყო, რომ დავიწეო, როგორ ვიქვამ!

— ვაღვერბა ცობა შე იყო! — ვაღვერბა ვიქვამ.

— დარბაზის ისე ვაგობიბანბანა ვიქვამ, კრებამ ვაწევილ ვასყდა და სამშენებლობამეფობობი ვანყოფილბის იფობობის ჩამოვინა, თოვინა.

— ამა რა ვეფენი! მადე რაბული ვი არ ამისი, რომ იფიბინა! მოამხებს მას უნანა ჩივიდა.

— აა, ამანდავბი ისე ვმუშაობთ ჩვენი — ვანავებულე მომჭრები.

— არს ვანავები, ბატონო! — ვავამ ხომ სხედლები? — წამობიბა.

წამობიბის ვანყოფილბის უფროსმა, პირბიტული მსყელობაა. — ვიქვამ შე — ქარბანას მჭრელი ვეფენის შესარბოლისთვის არ უნდა იმბობო, დესა ნახვარედა ვეფენი იფიბო იფიბა და იფიბი, — ჩვენი მისე და ვეფენი არი. — შესანინავი სადავინებლობა! — დიასესედა დადილოდ შევსე.

— ვიქვამს სანობრის სერნი ამისი პირდაპირ და ვიქვამ მფეხბარია მარულე გამოვიტეხი, ვაწევილბის — თქვენა ლავჯავდა.

— დელს რაღას ვრინობ, ბატონო, იღე ვინადა ვაალითობი? — ვინადავბი! მადე რაბულიბის სოფლის, ვინადავბი, გამოვიტეხი და ვეფენს ნავლავინებებუ ილბარბობი — ცუდა წამოვდა იფიბიბობი.

— ახლავ მიგი ქარბინდან ვასადევა ხელს არჩევი. — ამანდავბი! მადე რაბულიბის მანდილი არვიან ისეჩევა სოფლებს ვამიბევი.

— შევარცხებინე ამისთანა კრიბებო — თქვენა ლავჯავდა და დავებოვია. — რამე ვეფენია თუ არ ვინა ჩივი, მტებს ჩეჭევილბის — ჩამხინარი, თოვინა.

— ვინ სიტყვაში ვაგობია, ბატონო! სიტყვის ვაწევილ, რომ პრების ვიქვამს! — ვიქვამ შე, — ოღონდ მხოლოდ ნავლავინებებუ ილბარბობი ვიქვამ!

— ზოგიერთი რევიორ-მულტერი მულტერბაში რომ დავებრე მანდილი-მანდილი. — ვანდიოვუდა ლოვინა მანდილებულ კუბანის ვიქვამ.

— მილოვინა ვანცხლეს ვანცხლესაში რომ შევსეს... — ამა და ამ სარბულე მანდილ ვეფეოვინა და სანდავანა...

— ამა და ამ მან ქალკეში კივავა აქვს ირო მინა და წინები ავარკიო... — ვიქვამე მადარების მხარე უნსევი.

— „კოლიბისეო“ რომ მოყვან ვეფენს ხალხის და მუქეს ვიქვამ რომ ვანდიოვუდა, ის ვინ იყო? — იმდავდა ლავჯავდა მფეხბინილბი.

— ლავჯავდა მინე წინის მიღვევა იყო და სულ შიდა, არჩევის ლოვინა შენიღბული სანკარბიტი ვეწედა. მანდილი ვი უნდავდედა ვანდავებუ ახალბილული შინის სივანეში და მისი წითელი მუქეული იქობიბობი ლავჯავდა. უცხო კოლექტიური მადეობით ვაწევილბის მიღვევა და შენდის ემბიტი, ნეწიბით ავანდავებ მინი შეპიკობლი.

— ვიქვამე თო! სოფელი და თავისი ვანცხლესა მანდილია ვასხედდა. მანდილს მანდილბის ვინცევილბის და ვანცხლესა მინი იყობა: — მანდის რა ვყოფი!

— **უბრათ**! — შესანა მადარე ვაჭარო ლავჯავდა და მანდილი დაწინა.




— გინებო, ქია მინირო! დარბა ვანა ვაღვერბავა... — მანდა ვარდავბინი

გ. ა. შიდაციხელაშვილი




— როგორ ვაღვერბო სო ვიქვამს?
— როგორ ვაღვერბო და ვი-ვა მინევაში 20... — მანდა ვარდავბინი

გ. ა. შიდაციხელაშვილი



— როგორია რომ ვაღვერბო, რა ზოვბის იღვერბო?
— რომბის ვაღვერბო, მინი რა ვანევი?!

მანხანან მონგანალი



მარტოობის სურვილი

საბავშვო ჟურნალი
„მარტოობის სურვილი“



ნახ. მ. პაპაშვილისა

ყარაჩოხელის ტრამპლინი.

კაცობის წესები

თუმცა დიდ სახელს და დიდ პატივს იჩემებს იგი, თუ მოისურვებს, მოკვდავთაგან პალატებს დაცლის... არ იფარება ქვეყნად მისი მალაღი ფიჭვი და მას სახელად ეწოდებოდა პატარა კაცი.

თუმცა გორაკზე უცნაურმა ქარმა შეაგლო, მის სულში არსად სხვისი დარღობა არც თოვს და არც წვიმს,

თუმცა თავის თავი მიაჩნია ქვეყნის ზედასვლად, მაქ მაინც ჰქვია სულ დაბალი — პატარა კაცი.

თუმცა დღედაღამ ტელეფონებს ჰკილია ზარად, თუმცა ზიზარტლის ამოთქმასაც არავის აცლის, დადის, იყენებს ვილაცისგან ნაბობებ ძალას, თვლებზე მაინც აწერია — „პატარა კაცი“.

მგლის წინ კრავია და უფროსებს თავზე ევლებოდა, მაგრამ თხოვნისთვის თუ შეაღებ ამ კრავის კარი, ლომად იქცევა, უშვერ სიტყვებს, დაღვრის ჩქერებდა, ასე ყოფილა, ასეთივე პატარა კაცი.

თავიანი არ სცეს, გვერდით ისე თუ ჩაუარეს, ამოივსება მის ბნელ გულში სამსალ, თასი, სამაგიეროს მყის მიუზღავს ცხრაჯერ უარესს, თუნდაც ამისთვის იმაჰ ჰქვია პატარა კაცი.

თუმცა ალაშენა შვიდი სახლი გლეჯვით, თარეშით, მერვეზე ფიჭობს, აღმა-დაღმა მანქანით დაძრწის, შენ სული გაგდგრეს თუნდაც ცისქვეშ, იგი არ ეძებს, სხვაზე არასდროს აღარ ფიჭობს პატარა კაცი.

თავის „დილობას“ მთელი ღამე ფხიზლობს, დარაჯობს, როგორც ცერბერი ჯოჯოხეთის საშინელ კარებს, ქუჩაში მიდის, ბაყბაყდევის დარად ალაჯებს, მაგრამ ნაფეხურს აწერია, — „პატარა კაცი“.

თუმცა ცხოვრება — უზრუნველი სასება მისი და ერთი სიტყვით, არაფერი სჭირდება აწი, მას სამარის ქვეც გათლილი აქვს მშვენიერ ქვისგან, მაგრამ იმ ქვაზეც აწერია — „პატარა კაცი“.

ამირან გვილაზა.

პიესის განხილვაზე

პიესის განხილვა ურთიერთდაზვერვით დაიწყო. ცოტა ხანში კი ნამდვილი ხელჩართული ომი გაიმართა. პიესასაც შეეხსნენ და ერთმანეთსაც... შეეხსნენ სიტყვითაც და შეეხსნენ ხელითაც.

— სადაა ეს ხალხი?! — იკითხა ნახევარი საათის დაგვიანებით მოსულმა ერთ-ერთმა მშვიდობისმამიებელმა კრიტიკოსმა.
— დაჭამეს, ბატონო, ერთმანეთი! — უპასუხა კარისკაცმა.

როცა არცოდნა ცოდვაა

ანგარიშიანი კაცი იყო და ზეპირი ანგარიში უყვარდა. ანგარიში მოგვიტანო, უთხრეს არა ერთხელ. მრგვალი კაცი იყო და ანგარიშის დამრგვალება უყვარდა. საანგარიშოზე იანგარიშა, ისიც გაიანგარიშა, ესეც გამოიანგარიშა და ანგარიშის მოყვარულებს, წირვასთან ერთად, გამოუყვანა ანგარიში.

— დაწერე ანგარიში და დაწერილი მოიტანე! — მოუჭრეს გზა.
— არ ვიცი, ბატონო, წერა! — ნახა გამოსავალი.

„მა რომ ვლოთოზი...“

ხრა და ხრა... იმდენი ხრა, რომ ღვინით საესე მუხის კასრი გამოხრა და საწყობში რქაწითლის ტბა დადგა. ახლა კი იკადრა და მოუსვა ბაყაყური, მაგრამ, კაცმა რომ თქვას, შიგადაშიგ ბევრიც ყლაბა.

ქუჩაში გამოსულ წრუწუნას თავი ვირთხა ეგონა. გალევწილი მთვრალი ცუნცულთ გამოვიდა შუა ეზოში. რამდენ სოროსაც ჩაუარა, არც ერთში არ იკადრა შეძრომა: როდემდე უნდა ვიჯდე სოროშიო. ხან რას მიედო, ხან რას მოედო, ხან რა წააქცია, ხან რა ამბავი დააწია. დიდ ჭიშკართან დიდი შავი კატა იდგა, დიდი თვალებით გაკვირვებული უყურებდა ხულიგან თავუნას. მერე სისხლივით წითელი ენით მოილოკა ულვანში და ერთი გაიზმორა. ეს არ გამოპარვია წრუწუნას, მაგრამ „არავის არაფერი შეეშალოსო“, თქვა გაგულსებულმა და პირდაპირ კატისკენ წავიდა.

„თუ შენ რამეს მიპირებ, მე შენ დედას გიტირებ.“

შავთვალეზავ, შენი ჭირიმე!... — ამ სიმღერით ჩაუარა ჭიშკარს, მერე უცბად მოტრიალდა, მეგობრულად მოუცაცუნა თეძოზე თათი და, მართალი მტერი იყო, მაინც პირში უძრახა: რა იყო, შე კაცო, აღარ მოგწყინდა ეს კატათავგობანა?!

რალაც სასწაულით გადარჩა იმ დღეს, მერე დღეს კი ცხვირს ვერ ჰყოფდა სოროდან. ეჰ, გუშინ რა ვაჟკაცი იყო!.. ახლა კი მთელი დღე ერთ საკაცობრიო პრობლემაზე ფიჭობდა — რატომაა ადამიანები მართო შავ კატას რომ ერიდებიან?

მთვარიან ღამეს

მე, ის და მთვარე... მე მივიწვევ საკოცნელად. ის იქაჩება სახლისკენ.

- დაგვიანახავენ.
- აქ არავინ არის.
- იქ? — ცისკენ იშვერს ხელს.
- ჯერჯერობით, არც იქ არის ვინმე.
- არა, არა! თავი დამანებე, სირცხვილია!
- რისი გეშინია?!
- არ წაიკითხე, მთვარიდან სურათებს იღებენო!

ვეფხისა და ზოჯის ამბავი

„შავვარდი ვეფხსა ნაწოლსა, დრო იყვნეს შულამისანი, ვეფხი რო წამამიფრინდა, თვალნი მარისხნა ხთისანი.“

...დავუმიზნე და ვესროლე. ფერდში მოვარტყი. ვეფხვმა ერთი კი დაუსტვინა და ჩვარივით ჩიკცკა, თან შუშის მსხვრევის ხმა მომესმა.

უეცრად მანქანის კარი გაიღო, იქიდან კისრისტეხით გადმოცვივდნენ სირცხვილითა თუ შიშით გაწითლებული ქალი და კაცი. ყველაფერი ნათელ იყო...

- მაპატიე, ნუ მომკლავ! — ჩამივარდა მუხლებში კაცი.
- პირიქით, ბატონო, გთხოვთ თქვენ მაპატიოთ!..
- ჩემი ბრალი არ არის, — ქმარი მივლინებამიო...
- არც ჩემი ბრალი არის, სათამაშო ვეფხვი თუ იყო, რა ვიცოდე?
- რაო?..
- ისე აბრიალებდა თვალებს ამ სიბნელეში.
- ეს იყო შემობრუნების წერტილი: ნელ-ნელა მოვეგეთ გონს.
- თქვენ ამ ქალის ქმარი არა ხართ?! — გადამეხვია კაცი.
- ღმერთმა დამიფაროს! მე მონადირე ვარ!

გაიოჯ დაუნიანი.

როგორ გამოვიცვალო გვარი

თუ თქვენც გვარის გამოცვლას აპირებთ, არ გირჩევთ! კარგად ვიცით, რასაც გეუბნებით. ჯანდაბამდე გზა ჰქონია ყველას, ვისაც თქვენი გვარი არ მოსწონს. თქვენი გვარის სსენებაზე შეიძლება მართლა ეცინება ცინიკოს, მაგრამ ეცინება არა იმიტომ, რომ თქვენი გვარია სასაცილო, არამედ უბრალოდ ადამიანს არ შეუძლია, თუ რამეზე არ იცინა. ისე რომ, სულაც არაა თქვენი ბრალი, თუ ვინმე მუდამ სიცხლის გუნებაზეა, ანდა ბავშვური ბუნება პენსიამდე გამოჰყვება. ამიტომ, ამხანაგო მეკლანუაშვილო, ნუ მიაქცევთ ვიღაც დებილის ხითხითს ყურადღებას, ნუ წაისდენთ ნერვებსა და ჯანმრთელობას.

მე თვითონ გამოვიცვალე გვარი და რაც მაშინ თავს გადამხდა, გახსენებაც არ მინდა. მართალი რომ გითხრათ, ყველაფერი დღესაც არ დამთავრებულა.

არ გამოიცივლოთ გვარი, პატივცემულო მეკლანუაშვილო! არ ქნათ, გეუბნებით მე თქვენ! თავი არ დაიღუბოთ!

რადღაც მართალი და ერთ მშვენიერ დღეს მე თვითონაც მომეჩვენა, რომ ტარანაძე უფრო გავს მამარს თვევის გვარი იყო, ვიდრე ადამიანისა. ამასზე ბევრი ვიფიქრე, ბოლოს ავიღე ტელეფონების ნომრების წიგნი და ახალი ღირსეული გვარის ძებნას შევუდექი.

... გარეთ ციოდა. რადიატორთან სითბო იყო. წამოვწექი რბილ ტახტზე და დავიწყე კითხვა: ჩსიკვიშვილი, ნამგალაშვილი, თონისტარიძე, ბოლოქანქალოვი, ზურგუკანაშვილი, ეჭვსაურაშვილი... აქ კი თავი ვეღარ შევცავე და სიცილი ამიტყდა. ესე იგი, რა გამოვიდა? — კაცის ფასი სულ ეჭვსი შაურია, თუ რისი თქმა უნდა ამ გვარს? ეჭსთუმანაშვილი რომ ყოფილიყო, ან რაღაც ამისი მსგავსი, კიდევ მესმის! ეჭვსაურაშვილის ისევე ტარანაძე საზოიბა.

კაცმა რომ თქვას, უკეთესი გვარებიც ვნახე, მაგრამ არ მინდოდა თარხან-მოურაღი ან ბაგრატიონ-მუხრანსკი გავმხდარიყავი. ათასი მტერი მიყავს და ამ ამბავს კლასობრივ საჩუქს დაუდებდნენ. უფრო რაღაც უბრალო, ნეიტრალური გვარი მინდოდა შემერჩია. თუ არა, ამ ტარანაძემ თავი მემძალა! ტარანაძის გადამკიდეს ჯარში თვევაძეს მეძახდნენ. თვევაძე კიდევ პა... რაც არ უნდა იყოს, გვარია, მაგრამ კალმასხელიძე და წვერაგა რაღაა? ერთი ოხუნჯი ქარხანაში ხიზილალაშვილს მეძახდა.

ბოლა, როგორც მოგახსენეთ, დავეჩქე ტახტზე თბილად, რბილად და შევუდექი თქვენგან მოწონებული ტელეფონების წიგნის კითხვას. რა ჟღერადობის, რა შინაარსისა და ფერის გვარი არ ამოვქექე; გვერდწითელი, მემწვანელიშვილი, მეყანწვიშვილი, ფილთაქვაშვილი, მარგალიტაძე... ამ ბოლოს, თითქოს, არა უშავდა; მარგალიტი მაინც მარგალიტია, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მაინც ოთხი გვარი ავირჩიე: ვეფხვაძე, კატკატკვიშვილი, მუხაძე, მელაშვილი... ოთხივე ძალიან მომეწონა, მაგრამ ვერ გადავწყვიტე, ამ ოთხიდან რომელი ამერჩია. მარგალიტად, ვეფხვაძე ცოტა პრეტენზიულადაც ჟღერდა, არც მუხაძეს ჩამომართმევდნენ თავმდაბლობაში. კატკატკვიშვილი და მელაშვილიც, კარგად მოგვსენებთ, — ერთი ფრინველია, მეორე კი ცხოველი. თქვენ ხართ ჩემი ბატონი, ვიფიქრე, ვიფიქრე და, ბოლოს, ტყვეშელაშვილი დავიჩქე!

მეგონა, მოვრჩი ყველაფერს-მეთქი, მაგრამ მთავარი თურმე მერე იწყებოდა. დავიწყე საბუთების შეგროვება. ყველა: დიდი, პატარა, ქალი, კაცი, უფროსი, უმცროსი დაჟინებით მევიტახებოდა, — რატომ იცვლით საკუთარ გვარსო. ერთი პატარა ქალადისთვის ასჯერ გაიმეორებდნენ ჩემს სულელურ გვარს — ტარანაძეს. შემდეგ დაასვენდნენ, რომ არავითარი იურიდიული საფუძველი არ არსებობდა, რომ ტარანაძე ტყვეშელაშვილად გადაკეთებულიყო.

საქმეს ბოლომდე მივყევი, არ მოვეშვი, მაინც ჩემი გავიტანე — ავიღე ახალი პასპორტი და, მას მერე, ყველა მაინც ტარანაძეს მეძახს. ეს არაფერი: ოფიციალურადაც ტარანაძეს მიწოდებენ, იმიტომ, რომ პასპორტში, იქ, სადაც აღნიშნული უნდა იყოს, რის საფუძველზე გაიცა პასპორტი, მსხვილი ასოებით წერია ტარანაძე. ყველას ჰგონია, რომ ტარანაძე ჩემი ახალი გვარია. თქვენ გჯერათ, რომ ტარანაძე ჩემი ახალი გვარია? ბედს რაც დაუწერია, იმას საღ წაუწვავს?! როგორც ჩანს, ტარანაძედ დავბადებულვარ და ტარანაძედ მოგვედები. ესეც არ იყო, როცა წარმოვიდგინე, რომ უკვე საბოლოოდ ტყვეშელაშვილი გახვდი, გამახსენდა ჩემი საწყალი ნათესავ-მოკეთებელი — ტარანაძეები.


არ გამოიცივლოთ გვარი, ამხანაგო მეკლანუაშვილო! არ გამოიცივლოთ თუნდაც იმიტომ, რომ როდესაც ისევე მეკლანუაშვილობა მოგინდებათ, პასპორტში ჩაგიწერენ, რომ გვარი გამოიცივალეთ და დადიანის ნაცვლად მეკლანუაშვილი დაირქვით. ყველა — დიდი და პატარა, ქალი და კაცი ტვინს გავსწვრტეს ერთი და იმავე კითხვით: რატომ გამოიცივალეთ გვარი?! რა ძალა გადგათ?! რატომ?! რისთვის?!
ეკ, ჩემო მეკლანუაშვილო! რამდენი წლის ბრძანდებით? ოცის? ოცდაათის? ორმოცის? მერე როგორ გგონიათ, რამდენ ხანს მოგიწევთ კიდევ მეკლანუაშვილობა? დიდი-დიდი, ოცი-ოცდაათი წელი. მერე ყველაფერი დასრულდება... ბოლო ყველაფერის ერთია!..



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნ.ს. მალაზონია

— ასე მითხრა, ცხიმიანს დაბროვმა გაქვს, ზედმეტი შაქარი და მარილები.
— შენ, კაცო, ამითან იყავი თუ გამოგვიბეზლთან?!



137
24/11
2

ნ.ს. მალაზონია

— „გამოღმით შენ ხარ, გაღმით — მე...“

გივი ალექსანდრი

მთავარი რედაქტორი ნოდარ ღუმუბაძე. სარედაქციო კოლეგია: ზ. ბოლქვაძე (პ/მ. მდივანი), ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, ზ. ნიშნიანიძე (მთავ. რედ. მოადგილე), ნ. შველიძე, ო. ზელიძე. აბრისა და იუბორის უზენაესი „ნიანგი“

თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42. ტელ. 9-76-69, 3-10-78. თბილისი. Сатирико-юмористический журнал „Няньги“. სს.პ. ცენტრალური კომიტეტის გამოცემაში. ხელმოწ. დასაზ. 9/II 1967 წ. ქალ. ზომა 70x108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმატა რაოდენობა 0,5. პერიოდით ფორმატა რაოდ. 1. სს.პ. ც.გ.ს. გამოცემაში სტამბა № 1. ლენინის ქ. № 14. შპს. № 366, უმ 07394. ტირაჟი 64.000.

გვარწმუნებენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ესწრაფ-
ვიან „პარტნიორობას“ ლათინურ ამერიკასთან, აფრიკასთან და
არაბეთის ქვეყნებთანაც. იმაზე კი არას ამბობენ, როგორ ჰგავს ეს
მხედრისა და ცხენის პარტნიორობას.



გ. გ. გ.
 ბასახეღნი კვიცი.